ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

ბავშვთა ჟურნალი

ნოემბერი
№ 21

1910

მცირე წლოვანთათვის.
წელიწადი მეექვსე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—სურათი,—დექსი, ხუციშვილისა 3

II—ისაკო ქალაქში,—ვ. თამრიშვილისა 5

III—ფარნები,—ელ. ანტონოვსკისა 11

IV—მწყერი,—ივანე ედიაშვილისა 19

V—ნავების მკეთებელი ცხოველები,—ოდ. ჭრელაშვილისა ..22

VI—რებუს და ალნა 24

ელექტრო-მბეჭდავი წიგნების. გამომც. ქართვ. ამხ—სა.

წელიწადი მე-VI. № 21 ნოემბერი 1910 წ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—სურათი,—დექსი, ხუციშვილისა 3

II—ისაკო ქალაქში,—ვ. თამრიშვილისა 5

III—ფარნები,—ელ. ანტონოვსკისა 11

IV—მწყერი,—ივანე ელიაშვილისა 19

V—ნავების მკეთებელი ცხოველები,—ოდ. ჭრელაშვილისა . . 22

VI—რებუს და აღსნა 24

ელექტრო-მბეჭდავი წიგნების. გამომც. ქართვ. ამხ—ცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურათი.

ზაზამთრდა, ბაწია ბავშვებს
აღარ უშვებენ კარშია;
შიშობენ—არა ევნოთ-რა
სიცივე-ეინვა-ქარშია!

გოჩა უარობს შინ ყოფნას,
თინა მიიწევს გარედა,
ნუნუ მიმდგარა კუთხეში
და მოსთქვამს მეტად მწარედა.

დიდედა სათვალეებით
კოხტად შეკაზმულ ცხვირითა
იქვე მიმჯდარა ბუხრის წინ,
ხელსაქმობს წინდის ჩხირითა!

დედა ტანსაცმელს უკერავს,
თან თავს ევლება შვილებსა,
გოჩასა—ხალათს, გოგოებს—
ჯუბა-კაბასა თბილებსა!

ფისო სარკმელზედ შემჯდარა,
გარედ გაჰყურებს ჭვრეტითა;
ღობეზედ ჭხედავს ბელურებს
და არის გულის წყვეტითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთახში თბილა, გარედ-კი
ქარი ჰქრის გაშმაგებული
და დატრიალობს ჰაერში
ფოთოლი გაუვითლებული.

დაზამთრდა. ჰაწა ბავშვებსა
აღარ უშვებენ კარშია,
შიშობენ—არა ევნოთ-რა
სიცივე-უინვა-ქარშია!...

ხუციისშვილი



ისაკო ქალაქში.

(უძღვნი გოგია მერკვილაძეს)

ბატარა ისაკო, რომელიც დღევანდლამდე ქიზიყის ერთ-ერთ სოფელში სცხოვრობდა, ქალაქში გამოეგზავრა.

— ეჰე, ბიჭებო, გაიგეთ რო მეტალახიანთ ისაკო „ბატონიანთ“ ქალაქს უნდა წაიყვანონო?—ხმა გავარდა ისაკოს ტოლ-ამხანაგებში.

მართლაც და „ბატონიანთ“, როგორც ემახდნენ თავ. ანდრონიკაშვილების ოჯახს, ბატარა ისაკო ქალაქში უნდა წამოეყვანათ.

ნათლიდედ, ქალაქს წავიყვანთ შენს ისაკოს, ცოტაოდენს ხელზედ მოგვესამსახურება, ეს უმაწვილები წერა-კითხვასა და ანგარიშს ასწავლიან და კაცი გამოვაო.—ეს უთხრა კნეინა ქეთევანმა ისაკოს დედას ბალიას.

— თქვენ შამოგევლოთ ჩემი თავი, კნეინავ, ოღონდ წიგნი აჰწავლეთ და რაღა მეთქმის, აი, მაგი საწყალი მამა არ არის, რომ უწიგნობით თავ-ბედისა ვერა გაუგია-რა და ეველა იმას იბრიყვებს.

თვითონ ისაკო სიხარულით ცას ეწეოდა; ქალაქი, რომლისაც „ბატონიანთ“ უმაწვილებისაგან ბევრი კარგი რამ გაეგო, ახლა ოცნების მსარედ ექცა, სადაც ეველაფერი ლამაზია, დიდებული და თვალ-წარმტაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდნა ქალაქის ნახვისთვის დიდსანს არ დასჭირებია, მეორე დღეს ქალაქისკენ გამოემგზავრნენ.

მოსწონდა უნახავად ქალაქი ისაკოს, მაგრამ ის კი ვერ გაეგო, თუ „ბატონიანთ“ უმაწვილები ასე რად მოიწევდნენ სოფლისკენ, თუმცა დედ-მამაც ხომ ქალაქში ჰყვანდნენ?

მხოლოდ ერთხელ წამოსცდა ჰატარა კოტეს, რომ რაც სოფელში სილაღე და სიამოვნებაა, ის ქალაქში ნასამედიც არ იქნებაო.

ერთის დღის მგზავრობის შემდეგ, ქალაქს მოუახლოვდნენ. ისაკო მთლად ცქერად გადიქცა; დაიგძელა კისერი, დაადო ჰირი და იცქირება, საოცარ სანახავებს თვალს აშტერებს. კოტეც ცდილობს ყველაფერი აუხსნას, ყველაფერი გააგებინოს ჯერ უცოდინარ ისაკოს.

— აი, ეს დაგებული რკინები რკინის გზისაა, ისაკო, ამაზედ მატარებელი დადის.— უხსნის კოტე.

— ეს დიდი სახლები კაზარმებია, შიგ ჯარისკაცები დგანან.

— თე, ის რაღა არის, უცხენოდ რო გარბის და ზარს უკრავს?—კითხულობს ისაკო.

— ეგ კიდევ „კონკა“ არის, რაღაც სხვა ძალას მიჰყავს, აი, ვანომ იცის, რასაც.—აუხსნა კოტემ და თან თავისს უფროს ძმაზედ მიუთითა.

კიდევ ბევრი რამ ნახა ისაკომ გასაკვირი და უნახავი: ქუჩებს აქეთ-იქით ამაყად ამართული რამდენიმე სართულიანი სახლები, ქვით მოკირწყლული ქუჩები, რაზედაც ისაკომ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შენიშნა:

— აბა, ე ქვები რაღად დაუყრიათ ემ შარაზედ? ჩვენში, რო ქვა ეგდოს, იქით ვაგდებთ და აქ რად უნდათ; ფეხები არა ჰტკივათ ქვებზე სიარულით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა მთაწმინდაზედ მცოცავი უცხენო „კონკა“ ,, ... ზიების ვეებერთელა შუშები...

— ჩვენში რო იყოს, გვიან არ დაამტვრევენ ქვებით,— სთქვა ისაკომ შუშებზედ.

კისერი ეტკინა, იმდენი იცქირა და თვალები დაეღალა, მანამ სახლში მივიდოდნენ.

დაიღალა ჰატარა ისაკო, ძილისთვის თავი ექინდრებოდა, რადგან კარგად შებინდებულიყო.

მეორე დღეს ადრიან გაეღვიძა და, მინამ წამოდგებოდა, ნახულს ფიქრით თავი მოუყარა, მთლად ქალაქი თავიანთ სოფელს შეადარა და დაღონდა, ახლა მოაგონდა და სიმართლით დააფასა კოტეს ნათქვამი, რომ სოფელში მეტი სილაღე და სიამოვნებაა. მართლაც და რას ეუბნებოდნენ ჰატარა ისაკოს გულს ეს მუნჯად მდგარი სახლები, ან ეს გაურკვეველი ხმაურობა თბილის ქალაქისა? არაფერს.

რაღაც ეკირილი, თუ კივილი შემოესმა.

— ი მგლიჭ ვახშამი რას გაჭკივის?—წუხილითა სთქვა ისაკომ და მოსწყურდა სოფლის ნახვა.

მართლაც და მატარებელი რასა ჭკიოდა? მოვდივარ, მოშეცალენითო.

ისაკოც ფიქრებით მიდის თავის სოფლისკენ, მოცალენით, ნუ უშლით ფიქრსა.

ღილით ადგომას ადრე ჩვეული, ლოგინში ვეღარ დადგა, წამოდგა, მალე ჩაიცვა და კარში გავიდა. მეორე სართულის აივნიდან ქალაქს გახედა, რომელიც, ხიზილ-ბიბილებით აჭრელებული, გუგუნებდა, ძეტად ხმაურობდა. დაბლა ეზოში ჰატარა ბაღჩა იყო, რომლის ჰატარა ბილიკები აგურის ჭოჭეით იყო მოფენილი, რის გამო წითლად გამოიცქირებოდა. ბაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაში რამდენიმე მოზრდილი ხე იდგა, დანარჩენი კი ბუჩქები იყო, რომლებზედაც ვატარა ჭრელი ჩიტები დასტოდნენ და ჟრიკ-ჟრიკებდნენ.

ისაკო კარგა ხანს შინჯავდა ბალჩასა და მის მდებარეობას. მერე იქ ჩასვლაც მოუნდა. ჯერ დაბლა ჩაიხედა, ეზო მიათვალიერ-მოათვალიერა, მაგრამ, რაკი არავინ იყო, გული მოეცა, კიბეც ჩაათვალიერა, ჭაჭანება არ იყო ადამიანისა. ქუდი დაიხურა და ფეხ-აკრეფით კიბეზედ იწყო ჩასვლა. თან, რა თქმა უნდა, აქეთ-იქით იყურებოდა. კიბე მშვიდობიანად ჩაიარა; დაბლა სართულში ყველას ეძინა, მხოლოდ სამზარეულოში ვიღაცა აფხაკუნებდა, მაგრამ ეს აინუნშიაც არ ჩაუგდო. ბალჩის კარი ფრთხილად გააღო და, შესვლის უძალ, ერთი კოსტად შეიკუნტრუშა, ასე რომ ქუდიც კი, რომელიც ქოჩორზედ ჩიტის ბუდესავით ოდნავ ეკონწიალა, ჩამოუვარდა. ქუდი აიღო და ბილიკებზედ გაიარ-გამოიარა, ყველაფერს მცოდნესავით თვალიერება დაუწყო. ჯერი ახლა ჩიტებზედ მიდგა, რომელთაც ისაკოს დანახვაზედ წარბიც არ შეუხრიათ და, თითქოს ნიშნის მოგებით, ისაკოს გამოსაჯავრებლად, გაორკეცებით დაიწყეს ჟრიკ-ჟრიკი.

— დახე ამათ, არც კი ეშინიანთ ჩემ! — განრისხდა ისაკო ჩიტებზედ და ქვებს ძებნა დაუწყო. ქვების ბოვნა ასე ადვილი არ გამოდგა, მთელ ბალჩაში სულ ერთი მუჭა ქვა შეაგროვა. დაუწყო ჩიტებს დევნა და ქვების სროლა. ჩიტები დაფრთხნენ და ხმა ჩაიწყვიტეს.

— იჰეფ, რა კარგი მოლია, ამაზედ გორაობა კაი იქნება, აი! — სთქვა ისაკომ და ბილიკს გადეხვია მოლზედ გასაგორებლად, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ამ დროს დიდი ამბავი მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ვისი ოხერი ტეტია შემოთრეულა აქ! აქ რა გინდა, შე არამზადავ, შენა!—დაუჭეივლა მეეზოვემ და თან ცოცხის ტარი მიაყოლა ბეჭებზედ ისაკოს.

— რა გინდა, კაცო, ჩემგან, ვინა ხარ, რათა მცემ?—დაიწყო ბზლუქუნით ისაკომ, თან გაქცევას შეეცადა, მაგრამ მეეზოვეს მაგრად ეჭირა იმისი ხელი და ღონივრად ეურებს უსრესდა მეორეთი.

— ვინცა ვარ, მე შენ გასწავლი ბაღის გაოხრებას და ქვების სროლას!—უტურტურებდა მეეზოვე და თან ეურებს უსრესდა.

ბედზედ ისაკოს ტირილი „ბატონიანთ“ გაეგოთ და გარედ გამოცვივდნენ.

— გაუშვი, გაუშვი, ჰავლე, ჩვენი ბიჭია, ჩვენი! —გასძახეს ჰავლეს აივნიდან.

ჰავლემ ისაკო დიდის ბოდიშით ბატონების წინაშე გაანთავისუფლა, მაგრამ ისაკოს ეურები კი ძალიან აუწითლდა.

— როგორ შეიძლება, ბატონო, დღე და ღამ ამ ბაღს უვლი და მაგ საძაგელს კი სულ გაუფუჭებია. დაუშალეთ შემდეგში აღარ გაიმეოროს,— ამბობდა ჰავლე.

— არა უშავს-რა, ჰავლე, სოფელია, არ იცოდა,—ბოდიში მოჰხადეს გატეეპილს ისაკოს.

რასაკვირველია, ისაკო ეველამ დაარიგა, რომ ქალაქში არ შეიძლება არც ქვების სროლა, არც ეკირილი და არც ბაღჩაში შესვლაო. ისაკო მაინც ეურებზედ ხელს ისვამდა და გულით სწეევლიდა ქალაქში წამოსვლას.

—

სულ ერთი კვირა არ გასულა ისაკოს ჩამოსვლიდან, რომ ქალაქი, ჯერ კიდევ სოფელში მიმზიდველი და ზღაპრული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარე სინაძდვილეთ იქცა, სადაც ისაკოს თავისუფალ აზრს და ბუნებას ჭბორკავენ, უშლიან თავისუფლად სიმღერას, სირბილს, ხმა-მაღლივ ლაპარაკს და სხვას.

— არა, ისევ ჩვენი სოფელი სჯობია,— გადასწყვიტა ისაკომ.

ვ. თამროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფარნეზი

ადგა შემოდგომა და ბაღი დაცარიელდა. ვარო მაინც ხანდახან ჩადიოდა ბაღში: უყვარდა ნახევრად დატიტვლებულ ხეებშუა სიარული, ეძებდა სადმე დარჩენილ ვაშლს, აგროვებდა ჩამოცვივნულ, დაყვითლებულ ფოთლებს, ათვალიერებდა ლამაზ ჩიტებს და იმათ მარჯვე ხტომას სველ ხეებზე.

ხშირად გადაიხედავდა ხოლმე ღობის იქით მეზობლის ბოსტანში, სადაც ხაშხაში გათელილი იყო, ცერცვი დაგლეჯილი, თალგამი ამოღებული, მზეუჭვრიტასი მხოლოდ ულორტები-ღა იდგა თავებ დაგლეჯილი. ვეღარც ბოსტნის ჰატრონს, მოხუც თევდორეს ჭხედავდა ვარო.

თევდორეს გაზაფხულს აქეთ იცნობდა, მაშინ ბუდეს უდგამდა შროშანს და ვაროს სთხოვა, ჩემ ბაღშიაც გააკეთე ერთი ბუდეო. თევდორემ, ერთის მაგივრად, სამი გაუკეთა სხვა და სხვა ადგილს და, როცა შროშნები მოფრინდებოდნენ, მოხუცი და ვარო ერთად შეჭხაროდნენ სტუმრად მოსულ ფრინველებს.

თევდორე და იმისი ცოლი სიხარულით დაუხვდებოდნენ ხოლმე ვაროს, უყვარდათ იმასთან ლაპარაკი, აჭმევდნენ ქორფა კიტრებს, თალგამს, სტაფილოს, ცერცვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარო ხანდახან დარაჯობდა კიდეც თევდორეს ბოსტანს. როგორც გაიგონებდა კაკანს, მაშინვე გაექანებოდა და გარეკავდა ბოსტნიდან ქათმებს.

თევდორეს სხვა საქმეცა ჰქონდა: ამზადებდა დილით და ანთებდა საღამოთი ფარნებს ოთხ ქუჩაზე. გრძელი ქუჩები იყო, ფარნები—ბევრი. თევდორე დილით ორ საათს უნდებოდა: დადიოდა ერთი ფარნიდან მეორესთან ჰატარა კიბით, საწმენდელათი, ნავთის ჭურჭელით, სწმენდავდა შუშებს, ასხავდა ნავთს და ამ რიგად ამზადებდა ფარნებს..

შემოდგომაზე ბოსტანში სადარაჯო აღარა იყო რა. ვარო კარგა ხანია აღარა ეოფილიყო თევდორეს სახლში, მხოლოდ ქუჩაში ჰხედავდა.

ერთხელ ვარო თავის ბაღში დადიოდა და უცბად წაწყდა დაბლა ტოტზე დიდ ვაშლს. თავის თვალებს არ უჯერებდა: ამ დროს ვაშლის ჰოვნა იშვიათი იყო.

მშვენიერი მწიფე და ნაზი ვაშლი იყო, თითქოს კურკებიცკი ჩანდა გარედან.

ვარო ფიქრობდა, ვის წაუღო ვაშლიო და მოაგონდა თევდორე და იმისი ცოლი. აი, იმათ წაუღებ! კარგა ხანია აღარა ვეოფილვარ იმათსა და ვნახავ კიდეც..

ვარო გაძვრა ღობეში და ერთ წამში მივიდა თევდორესას.

თევდორე შინ დაუხვდა. ტუავი ეცვა და მაგიდასთან იჯდა. ვარო რომ დაინახა, ღაღვრემილმა გაუღიმა.

— გამარჯობა, ბაბა!

— მოხვედი.. ძალიან მიამა..

— ვაშლი მოგიტანე. უეურე, რა კარგია! ეს არის ახლა ვიპოვე ბაღში.

— მადლობელი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა გამოართვა ვაშლი, უგულოდ დახედა და დაბლა მაგიდაზე.

— ეს რა ამბავია, ბაბა, ტუავში რომ გასვეულხარ? თბილი დღეა, ცარიელ კაბაშიაც-კი არა მცივა.

— როგორღაც მამცივნებს... ალბად მაციებს... გუშინ საღამოზედაც გამაცია... დავსუსტდი... ფარნების მოსამზადებლად წავედი, ძლივს მივაღწიე იქამდინ... წამოვწექი, დავისვენე, მაგრამ მაინც ისევ წამოწოლა მინდა.

სახე ალეწილი ჰქონდა და ტუჩები გალურჯებული.

— დაწექი, ბაბა... მოისვენე და ციებაც გაივლის.

— ვერ დავწვები, საცაა საღამო მოატანს. დამეძინება და ფარნებს ვიღა დაანთებს... გამღვიძებელიც არავინა მუავს... ჩემი ბებერი ერთის კვირით ისევ ქალთან წავიდა.

— მე მოვალ და გაგაღვიძებ...

— დაგავიწყდება, თამაშობაში გაერთობი... დაღამდება, ქუჩებში ებნელება და მე-კი იმ დროს მეძინება.

— არა, არ დამავიწყდება, ბაბა! მხოლოდ შინ მივირბენ და ვეტუვი, რომ აქა ვარ... როგორც დაბინდდება, გაგაღვიძებ!

მოხუცი ჩაფიქრდა.

— მაშ, არ დაგავიწყდება?

— არა არა.

— მაშ კარგი...

— ხომ არა გინდა რა, ბაბა? იქნება ჩაი გინდა? საამოვრის დადგმა? მე შემიძლიან. შინ ორჯელ დავდგი საამოვარი.

— არა, არ მინდა. დაწოლა სჯობია, ეგებ გავთბე. თევზდორე დაწვა და საბანი დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ეგ ჩემი ტუავიც დამხურე... სხვა რამ კიდევ... აგერ ძველი ჩოხა, კუთხეში რომ ჭკიდია... ეგებ გავთბე და ჰატარა ჩამთვლიმოს, მერე ავდგები... მადლობელი ვარ...

ვარომ დახურა. თევდორეს ძალზე აკანკალებდა, ტუჩები გაუფითრდა...

— არ დაგავიწყდეს, გამაღვიძე, —კიდევ უთხრა თევდორემ.

— არ დამავიწყდება, ჰაჰა.

ვარო შინ გაიქცა. ჩაისა სვამდნენ. მიუჯდა მაგიდას, საჩქაროდ დალია ერთი ფინჯანი ჩაი, ჩაიდო ჯიბეში კვერი და გაიქცა თევდორესთან.

ნელა შევიდა სახლში. ავადმყოფს ეძინა. ვარო შეჩერდა ჰატარა ხანს და ისევ ნელა გამოვიდა ოთახიდან.

მზე ჩადიოდა. აგერ კიდეც უნდა დაღამებულიყო.

ვარომ გაიარა ბოსტანში, ბეღურა ჩიტებთან და ქათმებთან ერთად დაიწყო ძებნა ცერცვისა... ამასობაში სტაფილო ინოვნა, ამოაძრო და შეინახა დერეფანში, სადაც ტომრით სტაფილო და თალგამი ჭქონდა შენახული თევდორეს.

დაბინდდა კიდეც.

„დროა," იფიქრა ვარომ და გაიქცა მოხუცის გასაღვიძებლად.

შევიდა სახლში, ოთახში ბნელოდა.

„დავიგვიანე," იფიქრა და მორიდებით მიუახლოვდა თევდორეს.

— ჰაჰა, ჰაჰა!

ვარო უფრო მიუახლოვდა. ავადმყოფი საშინელი გახურებული იწვა. შუბლზე ხელი მიადო —დიდი სიცხე ჭქონდა. ავადმყოფმა დაიკვნესა და რაღაც წაიბუტბუტა ძილში. „ჭბოდავს"... ვაროს შეეშინდა.

ბატარა ხანს შეჩერდა, უნდოდა ისევ გაელვიძებინა, მაგრამ ვერა ჭბედავდა. „როგორ ადგება ასეთი ავადმყოფი? ფეხზე ვერცხ-კი დადგება. წაიქცევა სადმე... მაშ რა ვქნა“?

ვარო ჩაფიქრდა. მერე უცებ გატრიალდა, აიღო ორი კოლოფი ასანთი და გარედ გავიდა. დერეფანში აიღო კიბე, რომელიც სუბუქად ეჩვენა. საჩქაროდ ქუჩაში გავიდა.

— მოვახერხებ-კი?... ფარანი რომ ვერ გავაღო? როგორ იკეტება, არ ვიცი... მინა რომ გავტეხო... ან რომ ჩამოვარდე...

— აი, ფარახიც.—გულის კანკალით მიაუდა კიბე ვარომ, ავიდა სულ ზემო საფეხურზე და ბოძს მოსჭიდა ხელი, ფარანის რაზა იპოვნა, გამოსწია და გააღო. ეს კარგი! ახლა ანთება-ღაა საჭირო—ეგ-კი ვიცი, იფიქრა. ოღონდ მინა არ გამიტეხეს. ასანთი როგორღა აანთოს? ერთი ხელით ბოძი უჭირავს, ქარიც ძლიერა ჭქრის. „აი, როგორ: კოლოფს ფარანში დავდგამ და ისე ავანთებ“... ასანთი აპრიალდა... ბატრუქი აინთო... ძინაც დასურა... „ეჭ! იჭვარტლება“!... გაასწორა... ბოლოს ფარანის კარი მიჭკეტა... მზადაა!

ვარო ჩამოვიდა, აიღო კიბე... „უჭ, რა ბნელა! დაღამდა, ჩქარა წავიდე...

გაიქცა. ცოტა ხანს შედგა და მოიხედა: ანთია-კი სანათი? საუცხოოდ ანთია, სწორედაცა დგას, თითქო თავი მოსწონს, რომ მარტო ის ანათებს.

საჩქაროდ მეორეც აანთო... მერე მესამე, მეოთხე...

ზოგი გამვლელ-გამომვლელი უეურებდა ბატარა ქალს კიბით ხელში, მაგრამ ვარო იმათ ვერცხ-კი ამჩნევდა.

კარგა მანძილი გაიარა. ისწავლა სანათის ანთება. კიბეზედაც უშიშრად ადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩის ბოლოს მივიდა.

მოიხედა და ნასიამოვნები დარჩა. მთელი ქუჩა განათებული იყო. ხალხი მიდი-მოდიოდა, ცხენები მირბოდნენ — ყველას უნათებდა ფარნები, და ერთგულ დარაჯებივით დაჭეურებდა იქაურობას...

ახლა ვარომ გასწია სხვა ქუჩაში. სადაც-კი გაივლიდა, სინათლესა ჭფენდა.

— მე ზღაპრულ დედოფალსა ვგევარ, ანუ ეაზოარს: საცა გავჩნდები, ყველგან ვანათებ,“ — და თან და თან მიეშურებოდა...

მოხუც თევდორეს კი მოუსვენრად ეძინა და შფოთავდა. სიცხისაგან სულ რაღაც საშიშარ სიზმრებში იყო... ხან თვალს გაახელდა და რაღასაც იჭერდა ხელებით, ხან ისევ ჩაიძინებდა... ხან და ხან გუნებაში გაურბენდა, ავადა ვარ და ვბოდავო, მაგრამ ისევ ავიწყდებოდა და მოუსვენრად შფოთავდა.

უცბად მოაგონდა:

„ფარნების გაქრობის დრო არ არის?“

მიიხედ-მოიხედა, მოიფიქრა, რომ ვითომ თენდება.

მოაგონდა, რომ ფარნები არ აუნთია... ნუ თუ არ ავანთე?.. უნდოდა დარწმუნებულიყო.

კარები გაიღო და ვიღაც შემოვიდა.

— ვინ არი?

— მე ვარ, ბაბა! მოესმა საყვარელი ხმა.

ახლავე სანთელს აგინთებ.

— ჩემ გასაღვიძებლად მოხვედი? — ჰკითხა თევდორემ.

— არა, ბაბა! ფარნები კიდეც დავანთე. სუყველა მზად არის.

ერთბაშად ვერ მიხვდა თევდორე.

— შენ აანთე? შენ თითონ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიალ, ბაბა, შემიძლიან განა?.. რო გავათავე, მერე გავ-ვიარე ქუჩებში და დავათვალიერე, კარგად ანთია ფარნები თუ არა-მეთქი. გავასწორე, სადაც საჭირო იყო... ბაბა, სამოვარი და-გიდგა?

— არა, ცივი წყალი დამალევინე...

დაალევინა, დააშშვიდა მოხუცი და გაიქცა შინ. ხელ-ფეხი დაეღალა კიბეზედ ასვლა-ჩასვლით, მაგრამ ნასიამოვნები იყო. დედა ელოდა.

— სად დაიკარგე? ვახშმობაა და შენ კი არსადა ხარ.

— მე, დედა ფარნები ავანთე.

— ფარნები? რომელი ფარნები?

— ქუჩისა.

— რაო?

— ბაბა თევდორე ავად გახდა... ჭბოდავს, არ მინდოდ გამეღვიძებინა... და ვარომ უამბო ყველაფერი.

დედა შეწუხდა.

— მარტო როგორ დავტოვოთ ავადმყოფი მოხუცი? ღა-მე ვინ უპატრონებს? მარიამს დაუძახოთ, იმან კარგი მოვ-ლა იცის... ექიმიც მოვიყვანოთ...

— ფარნებს კი მე ავანთებ ხოლმე... დედა, დღისით და-ვამზადებ.

— ვნახოთ, ვნახოთ...

ვარომ დედა გავიდა.

მოხუცს ცოება აღმოაჩნდა. რამდენიმე დღე იყო ავად.

ამ რამდენსამე დღეში ვარო ანთებდა ფარნებს. როცა ვინ-მე შვილს მოინდომებდა, ეტყოდა:

— არა, არ მინდა. ბაბა თევდორეს არავინა შვილის, მეც მინდა მარტომ გავაკეთო, მე იმაზე მეტი ღონე მაქვს...

მართლაც, ვარო თევდორეზე მარჯვედ აკეთებდა ყველა-ფერს, თუმცა იღლებოდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო იმისთვის სწორედ დღესასწაული იყო. უყვარდა ბნელ ქუჩებს ნელ-ნელა რომ გაანათებდა ხოლმე თავიდან ბოლომდინ, ესიამოვნებოდა განათებულ ქუჩებში გამოვლა და თავის ნამუშავრის ყურება.

როცა მოხუცი თევდორე მორჩა, ვარო მაინც ბევრსა შველოდა, თევდორესაც საკუთარი შვილივით უყვარდა და მოუთმენლად ელოდა ზაფხულს, რომ ვაროსთვის შეეთავაზნა ქორფა კიტრები, ცერცვი, სტაფილო...

ელ. ანტონოვსკისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყერი.

(ბიძია ნიკოს ნაამბობი)

„ჰოპ, ჰოპ! ჰერი, ჰერი!
ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი“.
აკაკი.

მოდენი სიკეთე და სიცოცხლე თქვენ მოგეცესთ, რამდენი მწყერი ჩემ ქორმიძინოს გაექაჩოს და ჩემ თოფს დაეხოცოს; თუმცა ახლა-კი ვნანობ, მაგრამ რადა გაეწყობა.— განაგრძო ბიძია ნიკომ თავისი დაპირებული საუბარი.

— მთელი მკათათვე და მარიამობისთვე მწყერაობას უნდებოდით და კარგად ლაზათიანადაც ვიტკბანურებდი ხოლმე ჰირს ჩასუქებულ-ჩაკურატებულ მწყერით. არა, გემრიელიც რომ არის ის დალოცვილი მოხრაკულ-შებრაწული! მაგრამ სასარგებლოც არის; თითონაც ჰატიოსნად ჰოულობს საზრდოს და ჩვენც გვშველის და გვიადვილებს ჰურის მოუვანას.

— სულ ჰურის ყანაში დარბის და სჰობს იმის მუსუს ჭიაღუებსა. მართალია, ხორბლის კენკაც უყვარს, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ ძირს დაცვენილი ხორბალი, რომელიც ჩვენთვის მაინც დაკარგულია, მწყერს თავის კუჭის გასამღომად სრულის უფლებით ალამსახურებული აქვს, რადგან მოსავალში როგორც დედამიწას, მუშას, მზესა და წვიმას, მწყერსაც დიდი წილი აქვს. თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, თითოეული დედალი მწყერი სდებს 8—14 კვერცხს ჰურის ყანაში, რომლებიდანაც იჩეკებიან, 18—20 დღეში, ჰატარა ბარტყები. ეს ბარტყები და მათი მშობლები, სანამ ჰური შემოვა თითქმის განსაკუთრებით ჭიებითა და მატლებით საზრდოობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ მწეერები არა, ეს მუსუსები ხომ სრულებით მოსპობდნენ ჯეჯილს?! აი, დაილოცოს დედალი მწეერის მუეითობა! როცა კვერცხის დადების დრო მოუახლოვდება, ამოთხრის ეანაში ჰატარა ორმოს, მორთავს ფიჩხითა და გამხმარ ბალახ-ბულახით, ჩასდებს შიგ კვერცხებს და თავგანწირვით აზის ზედ ბარტყების გამოსაჩეკად. მამალი მწეერი-კი ამ დროს თავის ნებაზე ქეიფობს... მწეერის ბარტყები ძლიერ ჩქარა იზრდებიან, სულ 4—6 კვირის განმავლობაში სტოვებენ დედის მზრუნველობას და თავის მეცადინეობით იკვლევენ ცხოვრების გზას: ძტერსაცა და მოეეარესაც თავის ჭკუითა და გამბედაობით ეგებებიან. როცა რიგიანად დანაურდებიან ხოლმე და კრიალა ცვრით ჩაიგრილებენ გულ-მუცელს, გამოვლენ მზიან დღეში სილა-ქვიშაში და შიგ ბანაობას იწყებენ. ზოგჯერ მოიცრო ქვიშის კენჭებსაც ჭელაპაეენ კუჭის საეარჯიშოდ.

ექვსის კვირის ბარტეი გადასაფრენადაც-კი მზად არის. გადაფრენა ხომ იწყება ენკენისთვიდან და ხანდახან ღვინობისთვემდინაც-კი რჩებიან მწეერები საძმობლოში და შემდეგ თბილის ქვეეენებისაკენ იწყებენ დენას. ერთი ახირებული საციათ სჭირთ ამ ფრთოსნებს: გადაფრენას ისე მალულად იწყებენ ხოლმე, გეგონებათ, ერთი მეორეს ეპარებაო. მხოლოდ გზაში წამოეწევიან ერთმანეთს და შემდეგ-კი ერთად მოგზაურობენ. ხმელეთს თითქმის ფეხით გადალახვენ ხოლმე სირბილით და, ზღვა რომ შეხვდებათ, მაშინ ფრენით მოგზაურობენ. სახიფათო მოგზაურობა აქვთ ამ საცოდავებს: თუ კაცი უხვდება თოფითა და მახით წინ, თუ ჰირ-ქარი ხმელეთზე და ქარიშხალი ზღვაზე. დიაღ, ქარიშხალი დიდ განსაცდელში აგდებს ამ ჩვენს გულკეთილ მეგობარს და ბევრსაც ღუპავს ზღვის ულმობელ ტალღებში. საზოგადოდ, წლის განმავლობაში ნახევარზე მეტი მწეერი იღუპება და ადამიანის მოსიეეარულე გულსა სწეეტს. საკვირველია, ისეთი ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოიპოვება, რომ მწყერი არ უყვარდეს. როგორც ამ-ბავ-ბის განათლებულ ქვეყნებში, აგრედვე აზიაშიაც მწყერს საზოგადო სიყვარული აქვს მოხვეჭილი, თავის კეთილის გულისა და უვნებლობის გამო. მეგობრობაც შესანიშნავი იცის ამ ფრთოსანმა და ნამდვილ მეგობარს რომელი უგუნური არ აფასებს?! გულახდით რომ სთქვას კაცმა, ამ ქათმის მოგვარე ფრთოსანს არც ჭკუა აქვს დიდი და არც სილამაზე, მაგრამ სად ნახულა ისეთი ადამიანი, რომელსაც ეანაში მწყერის ხმაურობისაგან სიამოვნება არ ეგრძნოს. ვგონებ, არსად. და თუ თქვენც, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გულქვაობას არ დაიჩემებთ და სხვებთან ერთად სიყვარულის თვალით შეხედავთ ამ ჩვენს ჰატარა მეგობარს, შეიბრალებთ, როგორც ერთს შეუძლო და ადამიანისათვის სასარგებლო ფრინველს და გაუადვილებთ ცხოვრებას, თუ არ ჰირდაჰირის ხელის შეწყობით, უვნებლობით მაინცა,—დაბოლავა ბიძია ნიკომ საუბარი, რომელიც ჩვენ დიდის ეურადღებით მოვისმინეთ.

ივანე ელიაშვილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნავების მკეთებელი ცხოველები.

ორს, ცივ ისლანდიის კუნძულზე, ერთს მოგზაურს უნახავს ნავის მკეთებელი თაგვები. „მე ვნახეო—ამბობს მგზავრი, —ექვსმა თუ ათმა თაგვმა ერთად მოიყარეს თავი, აირჩიეს სასუქის გამხმარი, თხელი ნაჭრები, დააწყეს ზედ ხილი და სხვა საზრდო, მიათრიეს იმ მდინარესთან, რომლის მეორე ნაპირზე უნდა გადასულიყვნენ, შეაცურეს წყალში ეს სასუქის დატვირთული ნაჭერი და თვითონაც შეუსხდნენ ზედ, ისე რომ თავები საზრდოსკენ მიიშვირეს, ხოლო კუდები წყალში ჩაუშვეს. შესაძლებელია, რომ კუდებით ურუებდნენ წყალს. ამ გვარად მეორე ნაპირს გადადიოდნენ“.

სხვა მოგზაურებსაც უნახავთ მცურავი თაგვები, რომლებიც მოგვითხრობენ შემდეგს: ტომრის მსგავსი სოკოები არის, სახელად „წვიმის სოკო.“ თაგვები ჰოულობენ წვიმის სოკოებს, შიგ აწყობენ თავიანთ საზრდოს, უდებენ ნავებზე და გადააქვთ მეორე ნაპირზე.

ინგლისში იცის ერთნაირი მსხვილი ობობები, რომლებიც ბალახებისაგან აკეთებენ ბურთივით მორგვალო ნავებს, ქსელით ამაგრებენ, ჩასხდებიან შიგ და დაცურავენ წყალში.

მწერები ხშირად ცვივიან წყალში და სწორედ იმათ დასაჭერად მოგზაურობენ ობობები. მთელი ზაფხული ამგვარად ნადირობენ. ამერიკელ ჭიანჭველებზე აი რას მოგვითხრობენ:

ჭიანჭველის ჯარი მიადგა ერთს მდინარეს. მეორე ნაპირზე უნდოდა გადასვლა. განიერ მდინარეზე ეს ადვილი მოსახერხებელი არ იყო. ჯარი მიდიოდა ნაპირ-ნაპირ და თითქო რაღაცას ათვალიერებდა. ნაპირი მაღალი იყო და ბალახით აბიბინებული. ბოლოს მიადგნენ ქვიშიანსა და დაბლობს ნაპირს. აქ ჯარი შესდგა და წინ და უკან სირბილი დაიწყეს. „მე შევნიშნე,—ამბობს მნახველი,—რომ პირით ნაფოტები მიჰქონდათ წყალთან: ნაფოტებს შეაცურებდნენ წყალში და თვითონაც ზედ უსხდებოდნენ. მეორე რიგი ჯარისა ნაფოტებზე მსხდომ ჭიანჭველებს პირით იჭერდნენ, ფეხებით კიდევ ნაფოტებს იმაგრებდნენ, რომ წყალს სათითაოდ არ წაეღო ჭიანჭველები თავ-თავიანთ ნავებით. მეორე რიგი ჭიანჭველებისაც ისე იქცეოდა, როგორც პირველი, ასე რომ ეოველი ჭიანჭველა იჯდა თავის საკუთარ ნავში. მალე ურიცხვი ჭიანჭველა მოეფინა მდინარეს. ჭიანჭველებით ერთმანეთზე გადამბული ნავები წყალმა გაიტანა მეორე ნაპირას. ვიდრე ჯარი მთლად არ გადავიდოდა, ამგვარი მუშაობა არ შეწყვეტილა.

ოლ. ჭრელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის-მიერ.)







მე-20 №-ში მოთავსებულ რებუსების ახსნა:

1) ჭანდარი, —2) მელია ეურძნის მტერია.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

ძალაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავგადასავალი, თხზულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 50 კ.

რას გვიამბობს ოთახი. თხზულება ავენარიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 20 კ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი VII

წელიწადი VII

გამოვა 1911 წელს იმავ პროგრამმით.

ფასი წლიურად:

მოზრდილთათვის **12** წიგნი 3 მანეთი)(მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი 3 მან.
ორნივეზე ერთად მოზრდილთა და მცირე წლოვანთათვის 36 წიგნისა 5 მანეთი.
ნახევარის წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად —3 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: „ნაკადული“-ს რედაქციაში გოლოვინის პროსპ. სახ. № 8 და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.